დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

24.02..2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: იაგო

გვარი: კაჭკაჭიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სოციოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	აქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 10.12.2021 №135186
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	10.12.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	12.12.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2028

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები დაეყრდნოს შრომის ბაზრის რელევანტურ კვლევას;

2. აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის: თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (მე-13, მე-14 და მე-15 კვირები) და კლასიკური სოციოლოგიური თეორიები (1-ლი, მე-2 და მე-4 კვირები);

3. აუცილებელია, რომ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები გამდიდრდეს

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

შემდეგი თეორიებით: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი);

4. რეკომენდირებულია დარგობრივი სოციოლოგიის კურსების ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს კურსების შინაარსთან;

5. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - კვლევითი პროექტის - მომზადებაში ჩაერთონ პროგრამაში მონაწილე სხვა პედაგოგებიც (განსაკუთრებით ისინი, ვინც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსებს უძღვებიან);

6. რეკომენდირებულია კვლევის მეთოდოლოგიების კურსების ფარგლებში შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იყოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევითი უნარების განვითარებაზე პრაქტიკული დავალებების კომპონენტების შემოტანით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

შპს კავკასიის უნივერსიტეტმა ანგარიში წარმოადგინა 2022 წლის 12 დეკემბერს. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 12 დეკემბერი. ამდენად, ანგარიში წარმოდგენილია დადგენილი ვადის შესაბამისად. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ან/და რჩევების შესრულებაში ჩართულნი იყვნენ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ფლორა ესებუა და პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლები. კავკასიის უნივერსიტეტმა საბჭის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე ან/და რჩევებზე გულდასმით იმუშავა და წარმოადგინა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, რომელიც მოიცავს რევიზირებული სასწავლო პროგრამას და სილაბუსებს, აგრეთვე შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტს, გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

1. მიზანშეწონილია გაიზარდოს არჩევითობის წილი სასწავლო პროგრამაში. ამ თვალსაზრისით, პროგრამას აქვს ორი გამოწვევა: ა) პროგრამის ე.წ. „თავისუფალი კომპონენტის“ ფარგლებში (110 ECTS კრედიტი) სავალდებულო კურსები ჯამში შეადგენს 100 კრედიტს (!); ბ) ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში დარგობრივი სოციოლოგია, რაიმე რაციონალურად დასაბუთებული მიზეზების დასახელების გარეშე, გაყოფილია სავალდებულო და არჩევით დარგობრივ სოციოლოგიებად, შესაბამისად, არჩევითობის წილის გაძლიერება პროგრამაში შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: 1. გაიზარდოს პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითი საგნების რაოდენობა; ეს შესაძლებელია მოხდეს მეორე უცხო ენებისთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მოხსნით და მათი გადაქცევით არჩევით კურსებად და ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში მოქცეული დარგობრივი სოციოლოგიები შეიძლება გახდეს სრულიად არჩევითი (მით უფრო, რომ, როგორც ითქვა, სავალდებულო და არჩევით კურსებად მათი გაყოფის რაციონალური საფუძველი არ არსებობს);

2. მიზანშეწონილია, რომ სტუდენტების გარე სტაჟირება კვლევით კომპანიაში (კერძოდ, ეისითი კვლევისა და საკონსულტაციო გლობალურ კომპანია), რომელსაც ამჟამად აქვს პარტიზანული ხასიათი, იქცეს სასწავლო პროგრამის ინსტიტუციურ და ლეგალურ ნაწილად (სავალდებულო, ან არჩევითი მოდულის სახით). შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ კომპონენტს (რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბების თალსაზრისით), მიენიჭოს ფორმალური საკრედიტო დატვირთვა;

3. სასურველია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა, როგორც პროგრამისა და სილაბუსების შექმნის, ისე მათი დახვეწის პროცესში;

4. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ყველა ძირითადი სასწავლო ლიტერატურის გაციფრულება, რათა სტუდენტებისთვის ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულადაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოვიდ 19-ის გამოწვეული პანდემიის პირობებში, როდესაც სწავლა მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები დაეყრდნოს შრომის ბაზრის რელევანტურ კვლევას
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია: პროგრამის წარმომადგენლებმა განახორციელეს შრომის ბაზრის ანალიზი, რომლის თანახმადაც სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა პასუხობს ბაზრის საჭიროებებს, ანუ, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებს იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც დამსაქმებელთა მოლოდინებს შეესაბამება. შრომის ბაზრის ანალიზის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ: პროგრამის ხელმძღვანელი ფლორა (კესო) ესებუა, სოციოლოგები მონიკა კვარაცხელია და ქეთევან თვალავაძე. ორივე მათგანი კავკასიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულია და კვლევით პროექტებზე მუშაობის გამოცდილება აქვთ
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,

---

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[16]	აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის: თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (მე-13, მე-14 და მე-15 კვირები) და კლასიკური სოციოლოგიურi თეორიები (1-ლი, მე-2 და მე-4 კვირები)
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია: კურსებს შორის მითითებული გადაფარვები აღმოიხვრა და ორივე კურსის სილაბუსი განახლდა. რეკომენდაციის შესრულებაზე იმუშავეს კურსების ავტორებმა - ფლორა (კესო) ესებუამ და თეკლა ჯარმულიძემ
რჩევა[17] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III[18]	აუცილებელია, რომ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები გამდიდრდეს შემდეგი თეორიებით: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი)
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია: კურსებს დაემატა რელევანტური თეორიები და ავტორები. რეკომენდაციის შესრულებაზე იმუშავა კურსის ავტორმა თეკლა ჯარმულიძემ. განახლებული სილაბუსის მონიტორინგი განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ.

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[19] III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2. გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობ
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV[20]	რეკომენდირებულია დარგობრივი სოციოლოგიის კურსების ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს კურსების შინაარსთან;
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია: განახლდა დარგობრივი სოციოლოგიის კურსების სილაბუსები და მოდიფიცირდა ლიტერატურა. ეს შეეხო დარგობრივი სოციოლოგიის შემდეგ სილაბუსებს: ▪ რელიგიის სოციოლოგია; ▪ ჯანმრთელობის სოციოლოგია; ▪ ეკონომიკის სოციოლოგია; ▪ ვიზუალური სოციოლოგია; ▪ დანაშაულის სოციოლოგი
რჩევა[21] IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. რელიგიის სოციოლოგია; 2. ჯანმრთელობის სოციოლოგია; 3. ეკონომიკის სოციოლოგია; 4. ვიზუალური სოციოლოგია; 5. დანაშაულის სოციოლოგი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებ

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია V[22]	პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - კვლევითი პროექტის - მომზადებაში ჩაერთონ პროგრამაში მონაწილე სხვა პედაგოგებიც (განსაკუთრებით ისინი, ვინც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსებს უძღვებიან)
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია: კურსის განხორციელებაში ჩაერთო სოციოლოგიური კვლევის მეთოდების 3 და თეორიული/დარგობრივი სოციოლოგიების კურსების 2 ლექტორი. კერძოდ, კვლევითი პროექტის კურსის განხორციელებაში ჩართულები არიან აკადემიური და კვლევითი პროექტების მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე შემდეგი სპეციალისტები: ▪ მარიამ საყევარიშვილი; ▪ ნინო გაჩეჩილაძე; ▪ ანა კვინტრაძე-ჰარდი; ▪ თამარ ჩარკვიანი; ▪ ფლორა (კესო) ესებუა.
რჩევა[23] V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსი: • კვლევითი პროექტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობ
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებ
რეკომენდაციაVI[24]	რეკომენდირებულია კვლევის მეთოდოლოგიების კურსების ფარგლებში შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იყოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევითი უნარების განვითარებაზე პრაქტიკული დავალებების კომპონენტების შემოტანით
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია: რაოდენობრივი და

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	თვისებრივი კვლევის კურსებში შევიდა ცვლილებები და გაიწერა დავალებები, რომელთა შესრულება ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განსავითარებლად. კერძოდ, პრაქტიკული დავალებების შესრულების კომპონენტი ითვალისწინებს მუშაობას შემდეგზე თემებზე: ▪ კვლევის დიზაინი; ▪ კვლევის ინსტრუმენტი; ▪ ინსტრუმენტის რევიზია; ▪ დაკვირვების ფურცლის მომზადება; ▪ ტრანსკრიპტის მომზადება; ▪ მონაცემთა დამუშავება და წარდგენა (გრაფიკები/ცხრილები/დიაგრამები); და ა.შ.
რჩევა[25] VI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I 2. რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II 3. თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I 4. თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II

თანდართული დოკუმენტაცია[26]

1. შრომის ბაზრის ანალიზი (CU_CSH_Sociology_BA_შრომის ბაზრის ანალიზი /20 გვერდი)

2. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 20 გვერდი

3. სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები:

- კლასიკური სოციოლოგიური თეორიები (1. CST 2160 კლასიკური სოციოლოგიური თეორიები_2022 / 10 გვერდი)
- თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (2. MST 2260 -თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები_2022 / 10 გვერდი)

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

- გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები (3. PMST 3160-გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები_2022 / 10 გვერდი)

4. კვლევის მეთოდების კურსების სილაბუსები:

- რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I (4. QNRM2260_რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I_2022 / გვერდი 10)
- რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II (5. QNRM 3160_რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II_2022 / გვერდი 11)
- თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I (6. QLRM 2160_თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I_2022 / გვერდი 13)
- თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II (7. QLRM 2260_თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II_2022 / გვერდი 14)

5. დარგობრივი კურსების სილაბუსები:

- რელიგიის სოციოლოგია (8. SR 3260 _ რელიგიის სოციოლოგია_2022 / გვერდი 10)
- ჯანმრთელობის სოციოლოგია (9. SH 3260_ჯანმრთელობის სოციოლოგია_2022 / გვერდი 10)
- ვიზუალური სოციოლოგია (10. VS 4260_ვიზუალური სოციოლოგია_2022 / გვერდი 10)
- დანაშაულის სოციოლოგია (11. CS 4260_დანაშაულის სოციოლოგია_2022 / გვერდი 11)
- ეკონომიკის სოციოლოგია (12. ES 4260_ეკონომიკის სოციოლოგია_2022 / გვერდი 11)

6. კვლევითი პროექტის სილაბუსი (13. RPP 4260_კვლევითი პროექტის მომზადება_2022 / გვერდი 9)

ექსპერტის ხელმოწერა